

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო

შპს

„მემ ჯგუფი“-ს

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება

ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №251, ე.წ.  
აეროპორტის დასახლების ტერიტორიაზე ავტოგასამართი  
სადგურის მოწყობა-ექსპლოატაციის სკრინინგის  
ანგარიში

„მემსრულებელი“

თეიმურაზ კონცელიძე  
გარემოსდაცვითი მმართველი  
სერტიფიკატი ELEC/00158  
teimuraz-1955@mail.ru  
tel. 577 25 29 19; 568 74 12 64

 /თ. კონცელიძე/

ბათუმი-2022 წელი

## შინაარსი

შესავალი-----	3
1.ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელებისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ-----	4
2.საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და და ინფრასტრუქტურის ელემენტები-----	5
3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა-----	6
4.საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება---	7
5.საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება-----	9
6. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე-----	9
7.ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება-----	11
8. ნიადაგის, გრუნტის , მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება---	11
9.ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე-----	12
10.ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება-----	12
11.ნარჩენების წარმოქმნისა და მათი მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები-----	12
12. ზემოქმედება ადამიანის ჯამრთელობასა და უსაფრთხოებაზე-----	13
13. კუმულაციური ზემოქმედება-----	13
14. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება-----	14
15. მოკლე რეზიუმე-----	14
16. დანართები-----	16

## შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №251-ში, ე.წ. აეროპორტის დასახლების ტერიტორიაზე (საკად/კოდი 05.32.06.063) შპს „მმმ ჯგუფი“-ს (საინდ/კოდი 448395987) მიერ ავტოგასამართი სადგურის მოწყობა-ექსპლოატაციის პროექტს.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „მმმ ჯგუფი“-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს თხევადი საწვავების (ბენზინი, დიზელის საწვავი) შემოტანას, საწარმოს საცაგებში განთავსებას და მათ საცალოდ რეალიზაციას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი კოდექსი“-ს II დანართის, მე-5 პუნქტის, 5.1-ქვეპუნქტის თანახმად, ავტოგასამართი სადგურები ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გაელას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ჩატარების საჭიროების მიზნით. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და მიიღოს სამინისტროსგან გადაწყვეტილება ექვემდებარება, თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. საქმიანობის განმახორციელებელის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს:

-მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;

-ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა შპს „მმმ ჯგუფი“-ს ავტოგასამართი საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციის სკრინინგის ანგარიში.

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლის შესახებ. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „მმმ ჯგუფი“
საინდეტიფიკაციო კოდი	(ს/კ448395987
კომპანიის იურიდიული მისამართი	ხელვაჩაური, ზანაქიძეები
საქმიანობის განმახორციელებლის ადგილის ფაქტიური მისამართი	ბათუმი, აეროპორტის გატაცეცილი 251
საქმიანობის სახე	თხევადი საწვავების (ბენზინი, დიზელის საწვავი) რეალიზაცია
დირექტორი	მამუკა ფარტენაძე
საკონტაქტო ტელეფონი	597982484
ელექტრონული ფოსტა	mmmgroup115@gmail.com
შემსრულებელი	თეიმურაზ კონცელიძე
საკონტაქტო ტელეფონი	577252919
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ბათუმი, აეროპორტის გატაცეცილი 251
საწარმოს განთავსების კოორდინატები	X-717523; Y-4608544
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	333 მ.
საპროექტო წარმადობა	
საპროექტო წარმადობა	-რეალიზებული დიზელის საწვავი -2000000 ლიტრი -რეალიზებული ბენზინი-800000 ლიტრი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	365 დღე
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობა დღე-ღამეში, სთ	24 საათი

## 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

შპს „მმმ ჯგუფი“-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა იგეგმება ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №251-ში, ე.წ. აეროპორტის დასახლების ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: (X-717523; Y-4608544), არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე (საკად/კოდი 05.32.06.063), რომელიც თანახმად საჯარო რეესტრის ამონაწერისა №892021072134, 14.12.2021 წარმოადგენს კომპანიის კუთვნილებას ნასყიდობის უფლებებით. კომპანიის კუთვნილებაში არსებული 28500 კვ. მეტრი ფართობისა 3000 კვ. მეტრზე დაგეგმილია განთავსდეს ავტოგასამართი სადგური, ხოლო დანარჩენი ტერიტორიაზე განთავსდება ღია ავტოსადგომები, ავტოშეკეთების ბოქსები, კვების ობიექტი, მძღოლების მოსასვენებელი და სანიტარულ-ჰიგიენური კვანძი.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შესანახად განკუთვნილ ტერიტორიაზე დაგეგმილია დამონტაჟდეს ქარხნული წარმოების 4 ცალი ჰორიზონტალური სტაციონარული ავზი, საერთო მოცულობით 249,6 მ<sup>3</sup>. ავზები დამზადებული იქნება ლითონისაგან, დაფარული იქნება ანტიკოროზიული საღებავის ორი ფენით და აღჭურვილი იქნება სასუნთქი სარქველებით, რომელთა პარამეტრები იქნება: h-6 მეტრი; d-0,05 მეტრი.

საპროექტო ტერიტორიაზე საწვავის რეზერვუარების განთავსება დაგეგმილია ტერიტორიის (ნაკვეთის) სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, (GPS კოორდინატები: X-717527,23; Y-4608354,84), სპეციალურ მიწისქვეშა სარკოფაგში. სარკოფაგის ძირი და კედლები დამუშავებული იქნება ჰიდროსაიზოლიაციო მასალით. ავზებს შორის წარმოქმნილი სიცარიელები კი შევსებული იქნება ღორღით.

ავზებიდან ნავთობპროდუქტები მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით მიეწოდება საწვავის სარეალიზაციო ფარდულში განთავსებულ მარიგებულ სვეტებს, (GPS კოორდინატები: X-717520,18; Y-4608399,35), საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა, ავტოტრანსპორტის ბაკში ჩასხმა. (სურ.1 თანდართულია).

საპროექტო ტერიტორია მობეტონდება, ტერიტორიაზე მოეწყობა მეხამრიდი, დამიწება და ნავთობდამჭერი. ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა სარკოფაგის ტერიტორია შემოიღობება 1,8 მ. სიმაღლის ბეტონის კონსტრუქციით.

საწარმოს ტერიტორიაზე სარკოფაგის ტიპის მიწისქვეშა საცავში განთავსდება ნავთობპროდუქტების შესანახი 4 ავზი, თითოეული 62,4 მ<sup>3</sup> მოცულობის. მათ შორის 3 ავზი, ჯამში 187,2 მ<sup>3</sup> მოცულობის განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავებისათვის, ხოლო 1 ავზი (62,4 მ<sup>3</sup> მოცულობის) გაყოფილი იქნება 4 ნაწილად (15+15+10+22,4) და ამათგან 3 (15+15+10) განკუთვნილი იქნება ბენზინებისათვის, ხოლო ერთი (22,4 მ<sup>3</sup>) დიზელის საცავი იქნება.

### 3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა

ავტოგასამართ სადგურში სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოციისტერნებით. საწვავის მიღებისას ავტოციისტერნა დაერთდება დამიწების ჭანჭიკზე და საწვავის მიღების პროცესი მხოლოდ აღნიშნული ქმედების შემდეგ დაიწყება. შემოტანილი საწვავი თვითდინებით ჩაისხმება შესაბამის საცავში. საცავებიდან საწვავი მიწისქვეშ განთავსებული ლითონის მილებით (დიამეტრი 40 მმ), ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება 4 ჩამოსასხმელ დგარს, ადჭურვილს ჯამში 32 ჩასასხმელი ხორთუმით (პისტოლეტი), რომელთა მეშვეობით მოხდება საწვავის ჩასხმა ავტოტრანსპორტის საწვავის ავზში (ბაკში). ჩასასხმელი ხორთუმების (პისტოლეტები) მიერთება დგარზე მოხდება 6 მეტრი სიგრძის და 0,03 მ დიამეტრის სპეციალური რეზინის მილებით.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია ასევე მოეწყოს საოპერატორი ავტოტექნოლოგიური ობიექტი, ღია ავტოსადგომი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძი, საყარაულო დაშენობა-ნაგებობები და სხვა დანიშნულების დროებითი სათავსოები.

როგორც აღინიშნა, ჯამურად ოთხივე ავზი განკუთვნილი იქნება 249,6 მ<sup>3</sup> თხევადი საწვავის შესანახად. არსებული საწარმოო წარმადობების თანახმად ავტოგასამართი სადგური გეგმავს წლიურად რეალიზაცია გაუკეთოს 2000000 ლიტრ დიზელის საწვავს და 800000 ლიტრ ბენზინს. საწარმოს სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, ხოლო სამუშაო საათების რაოდენობად - 24 სთ/დღ. მიმდინარე პერიოდისათვის დაგეგმილია ობიექტზე (ავტოგასამართ სადგური) დასაქმდეს 6 ადამიანი.

საპროექტო საწარმოს განთავსება დაგეგმილია ქალაქ ბათუმის ერთ-ერთ გარეუბანში, ე.წ. აეროპორტის დასახლების ტერიტორიაზე, ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალის მე-4 კილომეტრზე, შავი ზღვიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით.

აღმოსავლეთის მხრიდან საწარმოს ესაზღვრება დასახლებული პუნქტი (მანძილი 333 მეტრი), სამხრეთით სამრეწველო ობიექტები (მანძილი 115 მეტრი); დასავლეთით საბაჟო ტერმინალი (მანძილი 77 მეტრი) და ჩრდილოეთით ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალი (მანძილი 258 მეტრი). საპროექტო ობიექტის უახლოესი ობიექტებია შპს „აისი“-ს ავტოგასამართი სადგური (122 მეტრი) და ძაღლსაშენი მეურნეობა (88 მეტრი). უახლოესი მდინარე ჭოროხი საპროექტო საწარმოდან განთავსებულია 600 მეტრის დაშორებით. საპროექტო საწარმოდან 980 მეტრში მდებარეობს ბათუმის აეროპორტი. (სურ.2, 2.1. თანდართულია)

#### 4. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება.

საპროექტო საწარმოს როგორც მოწყობის, ასევე ექსპლოატაციის ეტაპზე ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. ამ მიზნით საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში (GPS კოორდინატები: (X-717595,12; Y-4608535,22), ექსპლოატაციაში შევა ერთი ლიცენზირებული ჭაბურღილი, ხოლო მის მიმდებარედ განთავსდება ერთი 6 ტონიანი წყლის სარეზერვო ავზი. რაც შეეხება სასმელ წყალს, აღებული იქნება ქალაქის ცენტრალური საწყლოსნო ქსელიდან.

საწარმოს ტერიტორიის მონარეცხი წყლები, ასევე დაღვრილი ნავთობპროდუქტები სპეციალური არხების მეშვეობით ჩაედინება შემკრებ-სალექარში, (GPS კოორდინატები: X-717526,78; Y-4608372,91). სალექარში დაგროვილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასის შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში და გადაეცემა სათანადო უფლებამოსილ საწარმოს, როგორც სასიფათო ნარჩენი, თანახმად საქართველოს კანონისა „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს შესახებ. რაც შეეხება წყალს, ის სალექარის გავლის შემდეგ, გაწმენდილი ჩაიშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ გამაგალ სანიაღვრე არხში, შემდგომ მდინარე ჭოროხში, რომელის საწარმოდან 600 მეტრის დაშორებით გაედინება და უერთდება შავ ზღვას. იმავდროულად, საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები კი გადაეცემა ბათუმის სანდასუფთავეების კომპანიას თანახმად გაფორმებული ხელშეკრულებისა.

როგორც აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია რომელზედაც იგეგმება ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა, განთავსებულია სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე, რომელზედაც არ არის წარმოდგენილი მრავალწლოვანი ხე-მცენარეები და ნიადაგოვანი საფარი. ამასთან ერთად, დაგეგმილი პროექტი მსხვილი მასშტაბის სამშენებლო და მიწის სამუშაოებს არ ითვალისწინებს, შესაბამისად, ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ვიზუალური ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

რაც შეეხება ნავთობპროდუქტების ავზებს, ტერიტორიაზე მომზადდება ქვაბული, სადაც დატკეპნილი ღორღით მოეწყობა მოსამზადებელი ფენა, რომელზედაც დაეგება ჰიდროიზოლაციის ფენა. ქვაბულში მოეწყობა რკინაბეტონის სარკოფაგი და სპეციალური ლითონის საღტეებით დამაგრდება საპროექტო ავზები.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 6 კაცი, რომლებიც იმუშავენ სმენაში 8 საათს (ობიექტი იმუშავებს 24 საათიანი, 3-სმენიანი რეჟიმით).

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში, არსებული სანიტარული ნორმების მიხედვით შეადგენს 45 ლიტრს. გამომდინარე აქედან წყლის დღიური მოხმარება იქნება:

$$6 \times 45 = 270 \text{ ლ/დღეში, ანუ } 0,27 \text{ მ}^3/\text{დღეში,}$$

რაც შეეხება წყლის წლიური მოხმარების რაოდენობას, 1 პირზე ტოლი იქნება:

$$0,27 \times 365 = 98,55 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

სულ, ყველა მუშა-მოსამსახურეზე წლიურად სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$98,55 \times 6 = 591,3 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შამბოში (საასენიზაციო ორმო), საიდანაც დაგროვილი მასა რეგულარულად გაიტანება შესაბამისი სამსახურის მიერ არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიის მონარეცხ წყლებს, რომლებიც პირობითად დაბინძურებული იქნება ნავთობპროდუქტებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნების შესრულებისა და ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ობიექტის პროფილის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხისადმი დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე დამოტაჟდება სამსექციანი გამწმენდი ნაგებობა წარმადობით 2,0 ლ/წმ. (სურ.3 თანდართულია)

გამწმენდი ნაგებობა ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების სამსაფეხუროვან გაწმენდას. რომლის მუშაობის პრინციპი მარტივია და დაფუძნებულია წყლის, მყარი ნივთიერებების (შეწონილი ნაწილაკები) და ნავთობპროდუქტების ხვედრით წონათა სხვაობაზე: მყარი ნივთიერებები (შეწონილი ნაწილაკები) ილექება, ხოლო ნავთობპროდუქტები ამოტივტივდება.

საწარმოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10*F*H*K$$

სადაც:

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობაა, მ<sup>3</sup>/წელ;

F - საპროექტო ტერიტორიის ფართობია, ჰა; (F=0,3)

H - ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, (მმ); (H=2700)



K-წყალ შემკრები ზედაპირის კოეფიციენტი, მყარი საფარისათვის  $K=0,23$   
გამომდინარე აქედან:

$$Q = 10 * 0,3 * 2700 * 0,23 = 1863 \approx 1900 \text{ მ}^3/\text{წელ};$$

წყალი სალექარის გაელის შემდეგ, გაწმენდილი ჩაიშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ ბუნებრივ არხში, რომელიც საწარმოს გამწმენდ-სალექარიდან 37 მეტრითაა დაშორებული, არხის გავლით შემდგომ სანიაღვრე ჩამდინარე წყალი ჩაედინება მდინარე ჭოროხში, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 600 მეტრის დაშორებით გაედინება.

### 5. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება.

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა.

რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ იგეგმება იმდენად, რამდენადაც საწარმოს განთავსება დაგეგმილია სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ამასთან ერთად საპროექტო ტერიტორია მოშანდაგებულია და განთავისუფლებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენისაგან. თუმცა მშენებლობის ეტაპზე გამოვლენის შემთხვევაში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება და დასაწყობდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

### 6. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

ავტოგასამართი სადგური დაპროექტებულია „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებაში ასახული დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები და დანადგარები: თხევადი საწვავის (დიზელი, ბენზინი) ავტოციტერნებით მიღება, დროებით შენახვა (მიწისქვეშა რეზერვუარებში) და

მომხმარებლებზე გაცემა (საწვავ-სარიგებელი სვეტ-წერტილების მეშვეობით).

ავტოგასამართი სადგურის ძირითადი მოწყობილობებია: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) მიწისქვეშა ავზები 4 ცალი და საწვავ-გამანაწილებელი სვეტები, 4 სვეტი, ორმსკრივი.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული 11 ჰაერდამაბინძურებელი წყაროდან, რომელთა შორის 7 (ორგანიზებული), საწვავის შესანახი საცავია და 4 (არაორგანიზებული), ჩამოსასხმელი დგარი. მავნე ნივთიერებათა სახეობებია ნახშირწყალბადები, რომლებიც გამოიყოფა საწვავის შესანახი საცავიდან, მასზე არსებული სასუნთქი მილის მეშვეობით და ჩასასხმელი დგარიდან, ავტოტრანსპორტის გამართვის პროცესში. ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციისას, ამ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა და თანახმად საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №435 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში ფაქტობრივი გაფრქვევების რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დანართი 98, „ავტოგასამართი სადგურები“, საწარმოს ფუნქციონირების დროს ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები) რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$G_{\text{დიზ. ბენზ}} = V_{\text{დიზ. ბენზ}} \times K$$

სადაც:  $V_{\text{დიზ. ბენზ}}$  - რეალიზებული საწვავის რაოდენობა წელიწადში;

$K$  - მავნე ნივთიერებათა ხვედრითი მაჩვენებელი,

ა) დიზელის საწვავის გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$G_{\text{დიზ.}} = V_{\text{დიზ.}} \times K$$

მიღებულია,  $K_{\text{დიზ.}} = 0,0025$  გრამ ნახშირწყალბადებს (ჯამურად)

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G_{\text{ნ.წ. (დიზ)}} = (2000000 \text{ ლტ} \times 0,0025 \text{ გრ}) / 10^6 = 0,005 \text{ ტ/წ};$$

შესაბამისად:

$$M_{\text{ნ.წ.}(დოზ)} = (0,005 \times 10^6) / (24 \times 365 \times 3600) = 0,00015 \text{ გრ/წ}$$

ბ) ბენზინის გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$G_{\text{ბენზ}} = V_{\text{ბენზ}} \times K$$

მიღებულია,  $K_{\text{ბენზ}} = 1,4$  გრამ ნახშირწყალბადებს (ჯამურად)

გამომდინარე აქედან:

$$G_{\text{ნ.წ.}(ბენ)} = (800000 \text{ ლტ} \times 1,4 \text{ გრ}) / 10^6 = 1,12 \text{ ტ/წ};$$

შესაბამისად:

$$M_{\text{ნ.წ.}(ბენ)} = (1,12 \times 10^6) / (24 \times 365 \times 3600) = 0,035 \text{ გრ/წ}$$

სულ, ჯამურად:  $G_{\text{ნ.წ.}} = 0,005 + 1,12 = 1,125 \text{ ტ/წ};$

$$M_{\text{ნ.წ.}} = 0,00015 + 0,035 = 0,035 \text{ გრ/წმ}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები იმდენად მცირეა, რომ ძირითადად ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე იქნება ლოკალიზებული და იშვიათად, ან/და საერთოდ არ მოხდება მათი ობიექტის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გავრცელების ფაქტები. რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობდამჭერ სალექარს, აქ გაფრქვევები არ იანგარიშება იმდენად, რამდენადაც სალექარი იქნება დახურული.

### 7. ხმაურის გაფრცელება და ზემოქმედება

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე ასევე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება და გამოყენება. ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ ავტოტრანსპორტით, საწვავის შემოტანისა და ავტომობილების გამართვის დროს. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის გარეუბანში გამავალ ავტომაგისტრალის მიმდებარედ, ობიექტზე ავტომობილების გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ამისა ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციის პროცესში ხმაურის გაფრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. ამასთან, ერთად საწარმოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 8. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება

საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების შესრულებისას ნიადაგზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. როგორც წესი, ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლოატაციის დროს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები

ძირითადად უკავშირდება საწვავის შემთხვევით დაღვრას. იმის გათვალისწინებით, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონდება და ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები განთავსდება გადახურულ (ფარდულის) ტიპის ნაგებობაში, ხოლო ობიექტის პერიმეტრი აღჭურვილი იქნება წყალშემკრები სისტემითა და გამწმენდი სალექარით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე ნავთობპროდუქტების უარყოფით ზემოქმედებას პრაქტიკულად აღგილი არ ექნება, ამასთან, ვინაიდან ნავთობპროდუქტების საცავეები განთავსდება მიწისქვეშა სარკოფაგში, ხოლო სარკოფაგის ქვეშ მოწყობილი იქნება ჰიდროიზოლიაცია და სპეციალური ღორღის ფენა, ავზებიდან საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაშიც კი საწვავის გაჟონვისა და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი იქნება მინიმალური. ამასთან ერთად, უსაფრთხოების მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე დამატებით იგეგმება ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში გამოსაყენებელი სპეციალური აღჭურვილობის განთავსება (აბსორბენტები ან/და ქვიშა), რომელიც გამოყენებული იქნება დანიშნულებისამებრ.

#### 9. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო საწარმოს განთავსების ტერიტორიის არეალში ვიზუალური შეფასებით ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ დაფიქსირებულა. ასევე ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორიები.

#### 10. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საწარმოს მონტაჟი და შემდგომი ესქპლოატაცია გამოიწვევს ლანდშაფტის უმნიშვნელო ადგილობრივ, ლოკალურ ცვლილებას. საპროექტო ტერიტორიაზე არ არის აღრიცხული დაცული და ჭრააკრძალული სახეობები. ასევე ლანდშაფტის ღირებული ელემენტები. საწარმოს მოწყობის შემდეგ ტექნოლოგიური პროცესები შემდგომში უმნიშვნელო გავლენას იქონიებს საწარმოს მიდებარედ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მობინადრე მინდვრის მღნელებზე და ენტოფაუნაზე.

#### 11. ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად აღგილი ექნება გარკვეული რაოდენობის როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სახიფათო ნარჩენების სახეობები იქნება: ნავთობდამჭერის ნალექი, დაღვრილი ნავთობი, ნავთობით დაბინძურებული ტანისამოსი, აბსორბენტები, ხელსაწყოები.

ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში,

რომლებსაც ექნება სათანადო წარწერები, სტიკერები. მუნიციპალური ნარჩენის ტერიტორიიდან გატანა მოხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, მათ შორის ნავთობით დაბინძურებული ტანსაცმისი, აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა, მათი დროებითი შენახვა მოხდება სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში და შემდგომი დამუშავება/განადგურების მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ხოლო რაც შეეხება სალექარში დაგროვილ ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ მასას, მისი შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში და შემდგომი დამუშავება/განადგურების მიზნით ასევე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

კომპანია შეიმუშავებს და შეათანხმებს შესაბამის აგრემოსდაცვით სამსახურებს ნარჩენების მართვის გეგმას. საწარმოში ნარჩენების მართვა მოხდება ნარჩენების მართვის გეგმისა და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. მუშა-პერსონალის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე სათანადო ადგილებზე დამონტაჟდება ნაგვის ურნები და ნაგვის ბუნკერი და გაფორმდება ხელშეკრულება სათანადო სამსახურთან მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე გასატანად.

## 12. ზემოქმედება ადამიანის ჯამრთელობაზე და უსაფრთხოებაზე

საწარმოს ფინქციონირების პროცესში ჯამრთელობას და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორებია: საწარმოში დასაქმებული მომსახურე პერსონალი და საწარმოს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა. მათ უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით არ არის, რადგან საწარმოში არ იქნება გამოყენებული მაღალ ტემპერატურას და წნევაზე მომუშავე დანადგარები, სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები. საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის პირობები: დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა და გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა, რაც საქმიანობის პროცესში მინიმუმამდე შეამცირებს უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

## 13. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ

სხვა-არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის შემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი, ან დადებითი შედეგების მომტანია.

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური შემოქმედების ერთადერთი საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე შემოქმედება და ხმაურის გავრცელება.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, ჩრდილოეთის მხარეს, საწარმოდან 122 მეტრის დაშორებით ფუნქციონირებს შპს „აისი“-ს კუთვნილი ავტოგასამართი სადგური, რომელთან მიმართებითაც შესაძლებელია კუმულაციური შემოქმედების საკითხის განხილვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტოგასამართი სადგურის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაეთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და საწვავის რეალიზაცია დაკავშირებული არ არის მსხვილი მასშტაბის გაფრქვევებთან. მოცემულ შემთხვევაში გაანგარიშებით დადგენილია საპროექტო საწარმოს ექსპლოატაციის დროს ატმოსფეროში გაფრქვეული ნახშირწყალბადების ჯამური რაოდენობა წამში 0,035 გრამის ტოლია, რაც იმის მანიშნებელია, რომ გაფრქვევები, მათი სიმცირის გამო ძირითადად ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე იქნება ლოკალიზებული და იშვიათად, ან/და საერთოდ არ მოხდება მათი ობიექტის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გავრცელების ფაქტები. გამომდინარე აქედან, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე კუმულაციური შემოქმედების საფრთხეები არ არსებობს.

#### 14. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი შემოქმედება

სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობა მიგვაჩნია შეფასდეს როგორც დადებითი, იმდენად რამდენადაც, საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობიდან 6 ადამიანი იქნება დასაქმებული. ამასთან ერთად საწარმოს ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებას და დასაქმებულთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის, (6კაცი), წარმოების განვითარება შესაძლებლობას ქმნის მომავალში გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი.

#### 15. მოკლე რეზიუმე

დაგეგმილი საქმიანობა, როგორც აღინიშნეთ გულისხობს შპს „მმმ ჯგუფი“-ს მიერ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №251-ში, ე.წ აეროპორტის დასახლების ტერიტორიაზე, ქალაქის გარეუბანში, სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის მოწყობასა და ექსპლოატაციას.

საპროექტო საწარმოს წარმადობიდან გამომდინარე წელიწადში რეალიზაციას გაუკეთებს:

-დიზელის საწვავს 2000000 ლიტრი/წელ;

-ბენზინს 800000 ლიტრი/წელ;

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით ავტოგასამართი სადგური იმუშავებს 24-საათიანი სამუშაო სმენით და 365 სამუშაო დღით წელიწადში.

ჩატარებული გათვლებით დადგენილია, რომ ხსენებული რაოდენობის საწვავების რეალიზაციისა და მოცემული სამუშაო რეჟიმების გათვალისწინებით ჩატარებული გათვლებით ატმოსფეროში გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები ჯამურად) რაოდენობა დაბალია (0,053 გრ/წმ) და შემდგომში მათი კონცენტრაციის ზრდა ნაკლებად მოსალოდნელია.

ანალოგიურად შეიძლება ითქვას ხმაურის გაერთელებასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას, კერძოდ საწარმო, ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით არ განეკუთვნება მაღალი ხმაურის გაერთელების საწარმოს, აქედან გამომდინარე ხმაურის დონე უახლოეს დასახლებულ პუქთან (333 მეტრი) არ გადააჭარბებს დაშვებულ ნორმებს

როგორც წინამდებარე ანგარიშით იქნა დადგენილი, მოცემული საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების მართვა მოხდება ჰერმეტიულ საასენიზაციო ორმოს საშუალებით, ხოლო საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებულია სამსექციანი გამწმენდ-სალექარის მოწყობა. გაწმენდილ წყალში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები, მათ შორის ნავთობპროდუქტების და შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციები არ იქნება შესაბამისად 5 და 60 მგ/ლ-ზე მეტი.

საწარმოს მიერ გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება ბუნებრივ არხში და შემდგომ მდინარე ჭოროხში.

ზუსემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები მინიმალური იქნება.

## 16. დანართები

- 16.1. დანართი სურ.1 -საპროექტო საწარმოს განთავსების უბნები და GPS-კოორდინატები;
- 12.2. დანართი სურ.2, 2.1 -საპროექტო საწარმოს განთავსების უბნები და მანძილები;
- 16.3. დანართი სურ.3 – მონარეცხი წყლის სამსაფესურიანი გამწმენდი-საღეჭარი;
- 16.4. დანართი 4 – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- 16.5. დანართი 5 – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- 16.6. ნასყიდობის ხელშეკრულება
- 16.7. საპროექტო საწარმოს შენობა-ნაგებობების განთავსების გეგმა;

შპს „მმმ ჯგუფი“-ს დირექტორი



მამუკა ფარტენაძე